

რეკომენდაცია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაღალი სიზუსტის მექატრონული ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევითი ცენტრის უფროსის, სტუ-ს საპატიო დოქტორის, პოლკოვნიკ გოგი კვარაცხელიას მიერ ეგვიპტის პირამიდების მშენებლობასთან დაკავშირებულ გამოთქმულ ჰიპოთეზაზე. ბატონმა გოგი კვარაცხელიამ მოგვმართა კონკრეტულ გეომეტრიულ ამოცანასთან დაკავშირებით. ამ ამოცანის განხილვისას მიღებულ მათემატიკურ ობიექტებზე დაყრდნობით, ბატონმა გ. კვარაცხელიამ გამოთქვა საინტერესო მოსაზრება ეგვიპტის პირამიდების მშენებლობის აღწერასთან დაკავშირებით. კერძოდ, მან ამ ობიექტზე დაყრდნობით წარმოადგინა ხარაჩოთა კონსტრუქცია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ეფექტურად აშენდეს ისეთი რთული ბუნების ობიექტები, როგორცაა ეგვიპტის ცნობილი პირამიდები. 2020 წლის 24 სექტემბერს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შედგა მორიგი შეხვედრა ბატონ გოგი კვარაცხელიასთან, რომელსაც ესწრებოდნენ მათემატიკის პროფესორები. ბატონმა გოგიმ გაგვაცნო მის და სხვა მეცნიერთა მიერ გამოთქმული ჰიპოთეზები ეგვიპტის პირამიდების მშენებლობის შესახებ. მიგვაჩნია, რომ ბატონი გოგის მიერ წარმოდგენილი ჰიპოთეზა ეგვიპტის პირამიდების მშენებლობასთან დაკავშირებით ფრიად საინტერესო და რეალისტურია დღემდე გამოთქმულ ჰიპოთეზებს შორის. ის იმსახურებს ყურადღებას და მას ვუწევთ რეკომენდაციას შესაბამისი დარგის სპეციალტებთან განსახილველად.

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის მათემატიკის
დეპარტამენტის პროფესორები:

ალექსი კირთაძე

შაქრო ტეტუნაშვილი

ნიკო მუსხელიშვილის სახელობის
გამოთვლითი მათემატიკის
ინსტიტუტის დირექტორი

ვახტანგ კვარაცხელია

ქუთაისის საერთაშორისო
უნივერსიტეტის პროფესორი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის სტიპენდიანტი

ალექსანდრე მესხი

ევროპის მათემატიკური
საზოგადოების წევრი,
ამერიკის მედიტერანული
კვლევების ასოციაციის წევრი

გია კვაშილავა

